

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

ფრომეკი

ცალკე ნომერი ღირს შაშრატი

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, მედიკიშვილის სახლში, № 43
კანტორა რედაქციისა: მედიკიშვილის სტამბაში, შანოვის ქუჩაზე.

ხელის-მოწერა: მიიღება კანტორაში. შარეშე მცხოვრებთათვის: Въ Типографіи. Въ редакцію газ. „Дრობა“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ასევე ენებზე.
ფასი განცხადებისა: დღე ერთდღეობით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციკროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციის უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

„დროებაზე“ 1 სექტემბრიდან ამ წლის დასაწყისამდე

მიიღება თფილისში, „დროების“ რედაქციაში (შანოვის ქუჩაზე, სტ. მედიკიშვილის სტამბაში). სხვა ქალაქებში „დროების“ აგენტებთან.
ფასი ოთხი თვის გაზეთისა—4 მან.

შალაქს გარეშე მცხოვრებთა გაზეთი ამ აღრესით უნდა დაიბარონ: Въ Типографіи. Въ редакцію газеты „Дრობа“.

ტელეგრაფები

ბრძოლის ველიდან
(ოფიციალური)

ს.პეტერბურლი, 6 სექტემბერს. გაზეთი „Голосъ“ გეცნობებს, რომ დღეს ღენ. ლეიტ. ტოტლებელი უნდა წავიდეს აქედამ ბრძოლის ველზე; იმას ციხეების ასაღები ზარბაზნების დადგმა და საზოგადოთ ოსმალთს ციხეების აღება ექნება იქ მინდობილი. მსგე გაზეთი იწერება, რომ პლენასთან მოკლულების რიცხვში, სხვათა შორის, გამოჩენილი მხატვარი მერესჩაგინი ურევიაო.

ოქის აგებები

აზიის ბრძოლის ველიდან

რუსულ გაზეთს „Новое Время“-ს შემდეგი დეპეშა მოუვიდა 30 აგვისტოს ბერლინიდან:

„აქ დარწმუნებით ამბობენ, ვითომ ბერმანის იმპერატორს ვილჰელმს შემდეგი სიტყვები ეთქვას იმ ხმის თაობაზე, რომ ვითომც რუსეთი და ოსმალეთი მორიგეობაზე თანხმანი არიანო.“

„ჩემი დის-წული, რუსის ხელმწიფე, არ შეურიგდება ოსმალეთს და ვერც შეუძლიან შეურიგდეს, სანამ თავის მიზანს სრულიად არ მიადწევს.“

„ს.პეტერბურლის უწყებებში“ დაბეჭდილია 17 აგვისტოს პლაქამდრაპოლიდამ გაგზავნილი კორრესპონდენცია, რომელშიაც სხვათა შორის იწერებია, რომ

აქაურ ჩვენ სამხედრო მთავრობას მოლაპარაკება აქვსა ჯარისათვის საზამთრო სადგომების აშენებაზედაო.

„ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტო“ გეცნობებს შემდეგ დეპეშას, რომელიც ღენ. ტერ-ლუკასოვს 28 აგვისტოს გაუგზავნია ძაეკასიის არმიის მთავარ-სარდლისათვის და რომელიც „ოსკოვის უწყებებში“ დაბეჭდილი:

„ღამით, 25 აგვისტოს, 200 ოსმალთა გამოჩნდა სოფლებს შუჩულუქსა და ზულუქის შუა. მსენი გადმოსულიყვნენ მდ. არაქსზე; დაეცნენ სოფ. სარდასაბანს, სადაც 30 სომეხი დახოცეს. როცა უკან ბრუნდებოდნენ, ამათ გამოედევნა ორასი ყაზახი, მოუკლეს ერთი აფიცერი, სამი ბაშიბუზუყი, 10 დაჭრილი ტყვეთაიყვანეს, და რაც მოეტაცათ სოფელში, ყველაფერი დაატოვებინეს. ჩვენის მხრით 2 ყაზახი მოკლულია და 2 დაჭრილი.“

ჩვენის მხრიდან ოსმალეთში აფხაზების გადასახლების თაობაზე აი რას იწერებია ბრაპიზონიდან მენის გაზეთს „Politiche Correspondenz“-ში:

„ზობარტ-ფაშა იყო გაგზავნილი სოხუმში იქაურ ჯარებისა და აფხაზის ხალხის გადასაყვანად. მივიდა თუ არა ხომალდებით სოხუმში ეს აღმირალი, აფხაზებმა გაუგზავნეს იმას დეპუტაცია და სთხოვეს, რომ ჩვენ აქ დარჩენა აღარ შეგვიძლიან და გთხოვთ, სანამ ჯარს წაიყვანდეთ აქედამ, ოსმალეთში გადაგვიყვანეთო. ზობარტ-ფაშამ სტამბოლში მიიწერა ამის თაობაზე დეპეშა და როცა თანხმობა მოუვიდა, იმწამსვე შეუდგა ამ საქმეს.

„მაგრამ, სანამ თავის ქვეყანას ვიატოვებდნენ აფხაზები, იმათ გადასწვეს მთელი სოფლები და ყველაფერი, რისიც წამოღება ვერ შეიძლეს.

„აფხაზეთში სულ 70,000 სული ცხოვრებდა; ამათში 40,000 სოხუმს მოვიდა; რამდენიმე ათასი თავი საქონელი მოიყვანეს თან.

„უკანასკნელი ათი დღის განმავლობაში (3 აგვისტოდამ 13-მდინ) 12,000 სული, მომეტებული ნაწილი ქალები და ყმაწვილები, მარტო ტრაპიზონში გამოიყვანეს.

„შეკველია, რომ ამდენი ხალხის დასახლება შავი ზღვის ნაპირებზე გაუძნელდება ოსმალეთის მთავრობას, მაგრამ ამ საქმეში ხალხი დიდ შემწეობას აძლევს

გადმოსახლებულებს. თვითონ აფხაზები, როგორც ეტყობა, სრულგებით არ ნანობენ თავიანთ ქვეყნის მიტოვებას ისინი კმაყოფილნი არიან, რომ მშვიდობით და უვნებელად გამოასწრეს რუსების სოხუმში მისვლას.“

რუსულს გაზეთს „ს.პეტერბურლის უწყებებში“ დაბეჭდილი იყო ამას წინათ მრევიდამ მიღებული კორრესპონდენცია, რომელშიაც, სხვათა შორის იწერებოდნენ, ვითომც მრევენის გუბერნიის თათრებს მუხთარ-ფაშასთან თორმეტი კაცი დეპუტატი გაეგზავნოსთ და შეეთვალოსთ, რომ ჩვენ მზათ ვართ აღესდგეთ და მოგვხმაროთ რუსების წინააღმდეგ ბრძოლაშიო, ოღონდ შენ შენის ჯარით შემოდი მრევენის გუბერნიაშიო.

კორრესპონდენტი ამბობს შემდეგ, რომ უფრო დაწვრილებითი ამბების შესატყობელად, მუხთარ-ფაშამ ერთი ამ დეპუტატთაგანი, ორი გადაცმული თავის აფიცერი და ერთიც ყარაფაფაზი გაგზავნა მრევენის გუბერნიაშიო; მაგრამ ჩვენმა მთავრობამ შეიტყო ეს ამბავი და ყველა ესენი მღექსანდრაპოლის უფდში დაიჭირესო.

ამ გვარის ხმებისაგან მრევენი ამ ქამად ძალიან დაფხოზილი არისო, იწერება გაზ. „ძაეკასის“ კორრესპონდენტი, და ამის გამო ბევრი აქაური მცხოვრებელი თფილისისაკენ მორბიანო.

მოგვეყვას კიდევ რამდენიმე ალაგი იმ ფრანკუზული გაზეთის „Le Temps“-ის კორრესპონდენციიდან, რომელშიაც შარსი და იმასთან რუსების მიდგომა არის აწერილი:

„4 ივნისიდან, როცა რუსები პირველად მიადგნენ შარსს, 25 ამავე თვემდინ, როცა ისინი, ზვიინთან დამარცხების შემდეგ, იძულებული შეიქნენ, რომ შარსიდან წაეყვანათ თავის ჯარები, 40,000 ყუმბარა ისროლეს შარსისაკენ რუსებმა, ე. ი. ღღეში თითქმის 2,000. თუმცა რუსები ძალიან მარჯვედ ისროდნენ, მაგრამ შინც ბევრი ზიანი არ მიუტიათ იმათ ქალაქისათვის; სულ 120-130 სახლი იქნება შარსში დაზიანებული და დანგრეული; ამას გარდა 100 სულამდინ მოკლული იყო და 300-დინ დაჭრილი.“

„ამას მიუხაზავთ კიდევ ის გარემოე-
ბა, რომ რუსები ისე მჭიდროდ არ იყ-
ვნენ შარსის გარს შემორტყმულნი, რომ
შარსის ხალხსა და ჯარს მთელს ქვეყანა-
სთან კავშირი მოსპობილი ჰქონოდა;
მუდამ დამე შარსიდამ გამოდიოდნენ
რამდენიმე მარჯვე ბიჭები, მიდიოდნენ
ახლო-მახლო მსმალთს სოფლებშია,
მიჰქონდათ იქიდან, რაც ეჭირებოდათ
და ყოველ გვარ ამბებსაც ტყობულობ-
დნენ.

„აი ამ გარემოებით აიხსნება ის, რომ
ყარსელებმა ასე მარჯვეთ და უდრტვი-
ველად აიტანეს რუსის ჯარის გარს-
შემორტყმა. მხოლოდ სომხები კი ჩიო-
დნენ თურმე და აქა-იქ ჩურჩულობდნენ
(ხმა-მალა თქმას ვერ ბედავდნენ), რომ
კარგი იქნებაო, შარსი დაუთმოთ რუსე-
ბსაო, თორემ ცუდათ იქნება ჩვენი სა-
ქმეო და სხე.

„პართალია, ამ სომხებში რამდენიმე
კაცი დაიჭირეს და ცოცხლები გადაჰყა-
რეს კლდეზე და მოკლეს; მაგრამ მხო-
ლოდ ისეთები, რომელთაც მტერთან კა-
ვშირის ქონვასა და იმათთვის შარსიდან
ამბების მიტანას (შპიონობას) აბრალებ-
დნენ.“

გვარსის ბრძოლის ველიდან

მრთს ინგლისურს გაზეთში მოყვანი-
ლია რამოდენიმე საინტერესო ცნობა
სულეიმან-ფაშაზე, რომლიდანაც მოგე-
ყავს ზოგიერთი ალაგები:

„სულეიმან-ფაშა სოჭტი იყო, ის ჰა-
ჯობისათვის (მღვდლობისთვის) ემზადე-
ბოდა და მოკლევ დროში ისეთ ნაირად
შეისწავლა მაჰმადიანების ყოვანი დასა-
მღეთო წერილი, რომ საზოგადოების
ყურადღება დაიმსახურა. იმან დასწერა
ოსმალურად რიტორიკა.

„14 წლის იყო, როცა შკოლა მია-
ტოვა და სამხედრო სამსახურში შევიდა.
1870 წელს მაიორი სულეიმან-ფაშა ბე-
დნიერ-არაბეთში (იემენში) გაგზავნილი
იყო ლაშქარში. შემდეგ ის დანიშნეს
სამხედრო შკოლის დირექტორად სტამ-
ბოლში. ამ სამსახურადამ ის რედიფი-
ფაშამ გადაყენა, რომელსაც შურდა
იმი სწავლა და კეთილ-ზნეობა. წელს ამ
ომიანობის დაწყებისთანავე სულეი-
მან-ფაშა ჩერნოგორიელების წინააღმდეგ
ჯარის უფროსად იყო გაგზავნილი; აქ
იმან დიდი მხნეობა და სტრატეგიული
ნიჭი გამოიჩინა.

„ის ახალგაზდა ღენერალი გაიქმუ-
ლია მსმალეთში როგორც საუკეთესო
სტრატეგიკოსი, მოხერხებული და პატი-
ოლანი კაცი. სულეიმან-ფაშა ევროპიუ-
ლად განათლებული კაცია; მაგრამ, ამ-
ბობენ, რომ ავგულდი, ამაყი და ჯიუტი
ხალხის არისო.“

„გაზეთს „Голосъ“-ში სტამბოლის
გაზეთიდან გადმობეჭდილია, რომ ლო-
ჩის ალების დროს რუსები 40,000 კა-
ციტ დაგვეცნენო და ჩვენის მხრით კი
მხოლოდ 6,000 კაცი ჯარი იცვავდა ამ
ქალაქსაო.

„მეე გაზეთი გვაცნობებს, რომ ლო-
ჩის ხელ-ახლად ასაღებად მსმან-ფაშამ
28 ბატალიონი გაგზავნა იქითკენაო.

„შემოხსენებულსავე გაზეთში შემდეგი
ამბავია გადმობეჭდილი „ტელის გაზეთი-
დამ“ 26 აგვისტოს:

„სულეიმან-ფაშას მუდამ დღე ახალი
ჯარები მოსდის სტამბოლიდან. ამ ქამად
იმის ხელ-ქვეით 60,000 კაცია. მსმალე-
თის სამხედრო სამინისტროში ამბობენ,
რომ დაინახავს თუ არა სულეიმან-ფა-
შა, რომ ის საკმაოდ მომზადებულია
საბრძოლველად, იმწამსვე ხელ-ახლად
მიადგება შიპკოს ასაღებად და ყველაზე
პირველად წმ. ნიკოლაის ციხეს დაუშენს
ზარბაზნებსაო, რადგან, ამ ციხის აღე-
ბის შემდეგვე თითქმის შიპკოს გასავე-
ლიც იმის ხელში იქნებაო.“

„ზუშინდელ ჩვენ გაზეთში დაბეჭდილ-
მა დებეშამ გვაცნობა, რომ სულეიმან-
ფაშა მართლაც მისდგომია ხელ-ახლად
შიპკოს, წმ. ნიკოლაის სიმაგრის პირ-და-
პირ ზარბაზნები გაუჩერებია და ყუმბა-
რები დაუშენია.

„ამ საგნისავე შესახებ „Journal de Ge-
neve“ გვაცნობებს, რომ მუდამ დღე
2,500 კაცი იგზავნება სტამბოლიდან
სულეიმან-ფაშის ჯარის მისამატებლა-
თაო; შეიდი დღის განმავლობაში, რო-
ცა შიპკოსთან ასეთი გაცხარებული
ბრძოლა იყო, სულეიმან-ფაშის არ-
მის თითქმის 10,000 კაცი ჰყავს დახო-
ცილი—დაჭრილი და ავამყოფიო.

„შაე-ზღვაში მოგზაურობის შემდეგ,
მსმალთს ქლოტის აღმირალს ბო-
ბარტ-ფაშას შემდეგი მოხსენება წარუ-
დგენია თავის მთავრობისათვის სევესტო-
პოლის შესახებ:

„სევესტოპოლი ისეთ ნაირად არის
ამ ქამად ზღვისაკენ მიწის სიმაგრეებით
გამაგრებული, რომ იმის აღება, რაც
უნდა ძლიერი ფლოტი იყოს, ძალიან
გაუჭირდება. ზარბაზნები დამალულები
აქვთ, ასე რომ ზღვიდან არა სჩანან.
მომეტებული ნაწილი სევესტოპოლის
სიმაგრეებისა ახლად ნაშენებია მგონი
ამ ომის დაწყების შემდეგ გაუკეთები-
ათ.“

„ნემეცური გაზეთის „Tagblatt“-დამ
რუსულს გაზეთს „Голосъ“-ში გადმო-
ბეჭდილია, რომ სულეიმან-ფაშას შიპ-
კოსთან ბრძოლის დროს 10,000 კაცი
დაეღუპაო; რუსების მხრით კი 7,000
კაცზე მეტი არ არის დაჭრილი და დახო-
ცილიო.

„იგივე გაზეთი გვარწმუნებს, რომ სუ-
ლეიმან-ფაშას გადაწყვეტილი აქვსო, რომ
არ მიხედოს არავითარ მსხვერპლს და
რათაც უნდა დაუჯდეს, უეჭველად აიღოს

შიპკოს გასადალი; ხელ-ახლად თავ-დას-
ხმისათვის ის მხოლოდ ახალ ჯარებს
მოელისო.

საქართველო

დღიური

* * საზოგადო საჩივარი ქართლიდან
და განსაკუთრებით იმერეთ შურია-სა-
მეგრელოდან სხვა-და-სხვა ავამყოფო-
ბისა და პირუტყვის ჭირის გავრცელებ-
ბაზედ. სხვათა შორის ქართლისაკენ ამ
უქანასკნელ დროს წითელაც გაჩენილა
და ბევრი ყმაწვილები უმსხვერპლია.
იმერეთში და შურიაში, საშინელ მუ-
ცელას გარდა, ციებ-ცხელება არის თუ-
რმე ამ ქამად გავრცელებული.

„ახალ-სენაკიდან გვწერენ, რომ, ავი
იყო თუ კარგი, ერთი ექიმი გვეყნადაო;
მაგრამ ახლა ის ექიმიც მუთათის გადაი-
ყვანეს და ამ გაჭირების დღეს, როცა
ამისთანა სენი და ჭირი არის ჩვენში
გავრცელებული, მთელი ახალ-სენაკის
მაზრა უეჭვიმოდ არის დარჩენილიო.


* * ამ უეჭვიმობის დროს რომ ამის-
თანა ექიმებს მიმართონ ჩვენში, რო-
გორც ქვემოთ არის მოხსენებული, გა-
საკვირველი არ არის:

„სოფელს ხაშში გლეხი გამხდარა ავით;
ერთი ვიდაც მიკიტანი ასჩენია ექიმათ;
ჯერ რალაც ნალესი თუ ნახარში წამა-
ლი დაუღვივინებია და მერე უთქვამს,
რომ ერთიც მუშტი უნდა შემოგარტყა
ფერდში და სრულებით მოარჩებო... უნუ-
გემო გლეხი დათანხმებულა. მიკიტანს
აუღია და მართლაც ერთი ისეთი ღა-
ზათიანი მუშტი უთავაზებია გვერდში,
რომ ავამყოფს გული წასვლია და მა-
შინ კი ვაი-ვაგლახით მოუბრუნებიათ,
მაგრამ მეორე დღეს კი საუკუნოთ გა-
მოსთხოვებია ამ წუთი სოფელს...“

* * აღბუღალიდან გვწერენ, რომ წრე-
ულს იქითკენ სეტყვას ჭირნახული ერ-
თობ გაუფუჭებია და ამას გარდა, სატყი-
ყარმაც ხალხი ძალიან აზარალოა.

* * ამ რამდენიმე დღის წინათ, შეთ-
ხანის უბანში, ერთი ვიდაც სომხის სა-
ხლში, ახლად ფენ-ადგმული ყმაწვილი
ადუღებულ ქვაში ჩავარდნილა და მო-
ხარშულა.

* * ჩვენ შევიტყუო, რომ წასულ კვი-
რაში ჩვენი სასულიერო სემინარიის ინს-
პექტორის უფ. ძუქშინსკის წინადადებით
სამი შაგირდი გამოუტრცხავთ ამ სასწავ-
ლებიდან ვითომ იმ მიზეზით, რომ ეს
შაგირდები კარგათ ვერ სწავლობდნო. ამ
გამორიცხულ შაგირდებში არიან; ორი
იმერელი და ერთიც თუში.



* * * ახალციხიდან გვწერენ, რომ, მას-
მალეთიდან გამოსახლებულ სომხების
სასარგებლოთ, ამ ქაიად აქ ხელის-მო-
წერა არის გამართული.

* * * ზეგ, პარასკევს, დილის 11-ს საათ-
ზე, თფილისის კათოლიკე ეკლესიაში
აქაური ფრანკუნები ახლად-მიცვალე-
ბულის ტიერისათვის წირვის ვადახდას
აპირებენ.

* * * ჩვენ შევიტყუეთ, რომ მთავრობას
უფ. ნიკ. ნიკოლაძისათვის მიუცია ნება-
რთვა თფილსში რუსული გაზეთის გა-
მოცემისა; ამ ვაზეთს „*Обзор*“ ერქმევა
სახელად.

„დროების“ კორამსკონდენსია

იმავეთიდან, 26 აგვისტოს. ძველად,
ჩვენი მეფეების დროს, საეკლესიო წიგ-
ნები ორ ადგილას იბეჭდებოდა: მუჟა-
ისში და თფილისში. ბოლოს ტიპოგრა-
ფია საეკლესიო ქართული წიგნების სა-
ბეჭდავი მოსკოვში გახსნეს.

საეკლესიო წიგნები ჩვენ მოსკოვი-
დან მოგვიღოდა და უნდა სთქვას კაც-
მა სიმართლე, ცოტა იაფათაც.

ბოლოს თფილისში დაიწყეს ბეჭედა
საეკლესიო წიგნებისა; მაგრამ ისე და-
ძვირეს, რომ აღარ შეუძლია ყიდვა რო-
გორც ღარიბ ეკლესიებს ასე კერძო პი-
რებს.

ამ წიგნების გაყიდვა ჰქონდა მინდო-
ბილი ნეტარ-ხსენებულ დეკანოზს ზრი-
გორ სამცივეს, რომელსაც 500 მანეთი
დაკლებია ამ ფულებიდან. ხომ იცით
წყეული ფული რა თვისების არის! მ.
სამცივემა განისვენა ამ წელიწადში,
და, როგორც ამბობენ, რომ არ შეეწუ-
ხებიათ იმის ოჯახი ამ ფულის გარდახ-
დით, მოუხდენიათ განკარგულება: ეს
ფული გაიწეროს დანარჩენ წიგნებზე,
მოემატოს მანეთზე აბაზიდან ათ შაუ-
რამდე. ეს მომეტებული ფული ხვდებათ
ჯარიმათ საწყალ კერძო პირებს და ეკ-
ლესიებს იმისთვის, რომ მ. სამცივეს საეკ-
ლესიო წიგნების ფული 500 მ. შემოე-
ხარჯა..

მხლა, რომ მიხვალ სიონის დიაკონ-
თან, რომელსაც წიგნები აბარია გასას-
ყიდლოთ, და შეაძლევ წიგნის ფასს, რაც
ღირს, გეტყვის ამ ამბავს და ფასსაც გი-
მატებს!

ამას წინეთ იმერეთის ეპისკოპოსმა
ზაბრიელმა მისწერა ბლაღოჩინებს:—
დებუტატებათ უმელო მღვდლები არ
აარჩიონ სამღვდლოებაშიაო; იმისთანა
მღვდლები აღარჩევიან დებუტატებათ
მღვდლებსაო, რომელთაც შეილები ჰყა-
ვდეს სასწავლებელში.

ეს უთუოდ ახალი განკარგულებაა
უუწმინდესის სინოდისა. რა გაბელუ-
ლათ ილაპარაკებენ ამისთანა დებუტა-
ტები, თუ რამე უწესრება შენიშნეს სა-
სწავლებელში!..

იმერეთის ეპარხიის ბლაღოჩინებს
მიუღიათ ერთი თვეა მას აქეთ ერთი
მოწერილობა ეპისკოპოსისგან: „ვინც
სასწავლებლის ფულს არ მოკრებს მღვ-
დლებში და არ წარმოადგენს მალეო,
იმას ბლაღოჩინათ არ დაუამტკიცებო;
იმას დაუამტკიცებო ბლაღოჩინათ, ვინც
შკოლის ფულს მობოქს მუყაითათაო.“

ძარგი თავის უფალი კენჭის-ყრა თუ
გინდა, ეს არის. რაღა საჭიროა ეს კენ-
ჭის ყრა?

სასულიერო მთავრობის განკარგულე-
ბით ამას წინეთ მოაგროვეს ჩვენში მთე-
ლი მოღებნის წიგნები. ეს მოღებნიის
წიგნები შუთაისში და თფილისში დაბე-
ჭდნილი იყენენ უწინ და ჩვენ დროს
აღარ შეეფერებიათ. უბედურება ის არის,
რომ ძველი წიგნები წაიღეს და ახალი
არ აქვს ეკლესიებს, არც ფული აქვს,
რომ იყიდონ და დადებილი მოღებნები
სულ აღარ იხდება ეკლესიებზე, რაღაც
ეს მოღებნის წიგნები აღარ არის.

ამისთანა ჩხუბის დროს საჭირო არის
პარაკლისის წიგნები. მღვდლებისთვის
ამ მოღებნის წიგნებს ის მნიშვნელობა
აქვს ჩხუბის დროს, რაც სალდათისათვის
ტყვია წამალს. მაგრამ რა გაეწყობა ტყვია
წამალიც კი შემოღვევით ხოლომე ხან-
დისხან.

საბაასო

პასუხი უფ. ზოგოლეულს

„დროების“ № 122 იყო დაბეჭდილი
უ. ზოგოლეულის სტატია „რა ჯე გე-
ლი გლეხი“, რომლის უმთავრესი აზ-
რი არის ის, რომ მკითხველმა გაიგოს
თუ რამდენ ნაირი შეწუხება ადგია რაჭ-
ველს გლეხს ადგილობრივი ჩინოვნიკე-
ბისაგან. პეტარის აზრით, რაჭაში ჩი-
ნოვნიკები გლეხების ხარჯით რჩებიან
და ჯამაგირი კი ენახებათ, ამისთვის
პირველნი მდიდრდებიან და უკანასკნელ-
ნი იღუპებიან.

რით ამტკიცებს თავის აზრს უ. ზოგო-
ლეული? სრულებით არაფრით. მისი
სტატია, როგორც თვითონაც ამბობს,
სავსეა „მჩუტე ფრაზებით“. თავისი სტა-
ტიის სისუსტე და უსაფუძლოება თვითონ-
ვე უგრძენია და აი რითი ათავეს:


„ამ აზრის (გლეხების ჩინოვნიკები-
საგან დაღარიბების) წინააღმდეგს, იმე-
„დია, ვერას იტყვიან ის პირები, რომელ-
„თაც რამე ნაირად, რომელიმე მხრით
„შეეხება აქ გამოხატული უმთავრესი ჰა-

„ზრი, რადგანაც ეს უკანასკნელი შედე-
„გენს იმ საზიზღარი ფაქტებს დასჯე-
„ნას, რომლებს დაწვლილებით მოკე-
„ნა ჯერ ერთი რომ მეტიდ გააჭიანუ-
„რებდა სტატია და მეორე ის, რომ
„თავის შინაგანი და გარეგანი გარდამე-
„ტებული სისაზიზღრით (მართლა?) ართ-
„მევენ წერილის ავტორს ყოველივე შე-
„ძლებას და გაბედულებას მოიხსენოს
„ისინი (ფაქტები) ისე, რომ რომელიმე
„პირებს არ შეეხოს, პროვოციალურ კა-
„ნონებისაგან მეტიდ ისედაც შეიწრო-
„ბულ ბეჭედში.“

შკეტესი მოხერხება აღარ შეიძლება,
უ. ზოგოლეულს რომ თავის ცუდ-პოე-
ტური სტატია მოხერხებით დაუწერი-
ათელი უეზდის ჩინოვნიკებს მოსდვა
ხელი, ვალანძლა და ბოლოს იმასაც
ამბობს თუ ვისაც ჩემგან გამოთქმული
აზრი შეეხება, თავს ვერას გზით ვერ
ამართლებსო; თუმცაღა ჩემი აზრის და-
მამტკიცებელი ფაქტები ბევრი მეჭრა
ხელში, მაგრამ რადგანაც ამ ფაქტების
დაწვლილებით აწერა ბევრს ადგილს და-
იჭერდა სტატიაში და თავის გარდამეტე-
ბული სისაზიზღრით არც კი შეიძლე-
ბოდა მათი ბეჭედში გამოცხადება, ამის
თვის დამტკიცებას ნუ მამთხოვთ, ისე და-
იჯერეთ, რასაც ვამბობო! ამას ვინ არ
მოახერხებს? მე ვიტყვი თუ უ. ზოგო-
ლეული შესანიშნავი პოეტია მართელს
საქართველოში-თქო, მაგრამ ვინ დაიჯე-
რებს ამ ჩემს ცარიელს სიტყვებს, სანამ
არ ვაჩვენებ ამ პოეტის ნაწერს?

უ. ზოგოლეულის სტატიას მხოლოდ
მაშინ ექნებოდა მნიშვნელობა, რომ იმა-
ში გამოთქმული აზრი არ ეხებოდეს გან-
საკუთრებით რაჭველს გლეხს და ადგი-
ლობრივ ჩინოვნიკებს, და რადგანაც მა-
რტო რაჭაში კი არა, ბევრგან სხვაგანაც
გლეხებს დიდი შეწუხება ადგია ზოგი-
ერთი უსინდისო მოსამსახურე პირები-
საგან, ავტორს რაჭველი გლეხის მაგიე-
რათ საზოგადოთ ქართველი გლეხის ტი-
პი აწეროს. რაკი უფალი ზოგოლეუთე-
ლი ეხება მარტო რაჭას, სადაც ცოტა
ჩინოვნიკებია, საჭირო იყო, რომ მისი
გამოთქმული აზრი ცხოვრებიდან გა-
მოკრებილი მაგალითებით დამტკიცებ-
ნოს.

მე დამარწმუნა უ. ზოგოლეულის
პირველმაც და მეორე სტატიაშიც, რომ
იმან სრულებით რაჭის ცხოვრება და
გარემოება არ იცის და თუმცა სწერს რას-
მეს, მხოლოდ მისთვის, რომ თავის მწერ-
ლობით თავი დაიკმაყოფილოს. თუ ის
იოტის ოდენად მაინც ზრუნავს რაჭაზე,
სხვა გზით შეუძლია დაეხმაროს მისს და-
ჩაგრულს თანა-მოამძებს. დიდი სირცხვი-
ლია უსაფუძლოთ ვალანძლა საზოგა-
დოთ მრთელი ჩინოვნიკობისა, რომელ-
შიაც შეიძლება ისეთი პირები აერჩინენ,



რომელნიც ბევრათ უფრო კეთილს ზრუნავენ გლახებისათვის, ვინემ უ. ზოგოლეთელი.

მითი აქაური ჩინოვნიკთაგანი მეცა ვარ და ვგონებ ჩემსავით ხშირათ ხალხში მისვლა-მოსვლის შემთხვევა არცერთს ჩვენგანს არ ჰქონდეს; მაშა სადა მე უ. ზოგოლეთელის სიტყვები ჩემს მოქმედებასაც უნდა შეეხებოდეს. ის ამბობს ცარიელი სიტყვით: რაჟამი ჩინოვნიკები გლახებს ავიწროვებენო. თუ მეც ცარიელი სიტყვით ვიმართლე თავი: არა, უფალო ზოგოლეთელო, მე თავის დღეში არა ვინ არ შემიწუხებია, ძალიან პატიოსნათ ვიქცევი და სხ.—ვინ დაიჯერებს?—არა, ეს საკმაო არ არის, ჩემის მხრით; საჭიროა ესთხოვო უ. ზოგოლეთელს, რომ იმან გამოაცხადოს ბეჭედში ის „საზიზღარი ფაქტები“, რომელზედაც მისი აზრი არის დაფუძნებული. დიჭამაციის ნუ ეშინია, ჩემის მხრით სრულ უფლებას ვაძლევ, რომ რაც კი რამ საზრახი რამე იცოდეს ან გაგონებთ, ან თავის თვალთ ენახოს რამე ცუდი, შესახებ ჩემი მოქმედებისა, სუყველაფერი აცნობოს ჩვენს მკითხველს საზოგადოებას; დარწმუნდეს უ. ზოგოლეთელი, რაც უნდა ცუდი რამ დასწეროს ჩემზე, მე იმას სასამართლოში არ უჩივლებ; თუმც ვიმართლე თავი ბეჭდითვე—კარგი, თორემ გამარჯვებული ის იქნება.

თუ ეს ჩემი თხოვნა უფ. ზოგოლეთელმა არ შეასრულა, მაშინ კიდევ უფრო დავრწმუნდებით იმისს „მჩუტე ფრაზების“ სროლაში.

ალექსანდრე წულუკიძე

რაჟა, 7 აგვისტოს

ნაკვეთი

პარიჟის გაზეთის „Le Temps“-ის ჩვენს კარგათ ნაცნობი კორრესპონდენტი ერთს თავის უკანასკნელს კორრესპონდენციაში, სხვათა შორის, ამბობს:

„აქ (იგდირში) ხანდისხან თფილისის გაზეთები მოდის. ამ გაზეთებიდამ ვტყობულობ, რომ ჩემს შენიშვნებს, სომხების შესახებ, ცუტა არ იყოს აუღელვებია ქართველები. მე მაყვედრიან, თუმცა ტყბილად, რომ სომხების კარანტინში ჩავიგდე თავი, რომ სომხებმა ისარგებლეს ჩემის გამოუცდელობით და სრულდებით გამამბეს თავის საფანჯოში (me fourrer completement dans leur sac).“

მეორე ადვ. გას თავის კორრესპონდენციაში ესევე უფ. ძუტული ამბობს სომხეთზე და სომხებზე:

„არზრუმის ვილაიეტში ას მცხოვრებელზე ითვლება: 24 ქუთი, 23 სომეხი, 22 ოსმალო და დანარჩენი სხვა და სხვა ნაციის წარმომადგენელი არიან.“

„ამ სტატისტიკური ციფრების შემდეგ, მე ვკითხულობ:“

— სად არის სომხეთი და რომელი ქვეყანაა სომხების სამშობლო?“

* *

ქარსელი კორრესპონდენტი შემოხსენებული სავე ფრანცუზულის გაზეთისა ასე აგვიწერს მცირე აზრში დასახლებულ ჩერქეზების ცხოვრებას:

„საღანდულის მთებს რომ გადმოსციდებით, თითქმის შარსამდინ, ალაგ-ალაგ შეხვდებით გორებზე ჩერქეზების სოფლებს. მართალია, ამათ აქ მშვიდობიანი ხალხის სახელი არა აქვთ; მაგრამ გარეგანი შეხედულობით კარგათ ცხოვრებენ და, როგორც მე თვითონ დავრწმუნდი, სტუმრის-მოყვარენი ყოფილან. სტუმრისათვის ამათ სულ ცალკე სახლი აქვთ; საცა ცოლ-შვილი ჰყავთ, იქ უცხო კაცს არ შეუშვებენ.“

„რაც ძნელი მუშაობაა სოფელში, აქ სულ ქალები აკეთებენ; ვითონ კი თოფ-იარაღს გადაიკიდებენ მხარზე, შეჯდებიან ცენზე და მიდიან „სამოვარში“.“

„რამდენიმე სოფელი დავიარე მე ჩერქეზებთან და დარწმუნებით შემიძლიან ესთქვა, რომ ესენი უფრო სუჯთად და მოთავსებულად ცხოვრებენ, ამათ უკეთ აქვთ სახლ-კარი გაწყობილი, ვინემ აქაურ ოსმალებსა და სომხებს.“

განცხადებანი

მეცებ **შაზირდებს**, რომელთა ვასწავლი ღიმნაზიის სწავლის ყოველ საგანს, გარდა ლათინურისა და ბერძნულის ენისა. ძუკიაში, სემიონოვის ქუჩაში, სახლის № 7, ძობაშვილის სადგომში.

ქალაქის გამგეობისაგან

თფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ იმის თან—დასწრებით იქნება მხოლოდ ერთი ვაჭრობა, ხუთ ნაჭერ ქალაქის მიწაზე რომელიც ქალაქის მე-11 ნაწილში მე-2 განყოფილებაში, ანდრეევსკის ქუჩაზე იმყოფება შემდეგ სამზღვრებში: ჩრდილოეთით—სახლი კაპიტანის შელიგოვისა აღმოსავლეთით—ანდრეევსკის ქუჩა, სამხრეთით—ძიროჩინის ქუჩა და დასავლეთით—სახლი ლენერალ მამაცაშვილი სა და მიწები ძვიატკოვსკისა და პაიჭაძისა.

ვაჭრობა შემდეგ რიცხვებშია დანიშნული: პირველი და მეორე უჩასტკის მიწისა, რომელიც შეიცავს 191. 55 და 155, 7 ოთხ კუთხ საყენს, 11 ენკენის-თვეს. მესამე, 183 ოთხ-კუთხი საყენის უჩასტკის ვაჭრობა იქნება 23 ენკენის-თვეს; მეოთხე უჩასტკისა—182, 9 ოთხ-კუთხი საყენი—30 ენკენის-თვეს და მეხუთე უჩასტკისა, რომელიც შეიცავს 181, 81 ოთხ-კუთხს საყენ მიწას, 16 ენკენის-თვეს ამ წლისას.

მოვაჭრენი ვალდებულნი არიან, რომ კანონიერი გიროო წარმოადგინონ.

(3—2)

რკ. ზზა.	დილა.	სალა.	II კ.	III კ.	ტელეგრაფი	მ. კაპ	ბირჟა	მან. კაპ	მაზანდა	კან	კაპ
თფილისი	9 21	5 18			მ.ცი სიტყვა თფილისიდან:		პეტერბურგი, 29 აგვისტოს		თფილისი, 29 ენკენისთვე		
მცხეთა	10 11	6 27	68	38	ჭუთაისს, შოთს	1			შქვ. თეთ. მანჯისა, ფთ.	1	45
ზორი	11 58	9 43	2 40	1 23	ზორს, ღუშეთს, სიღნაღს	50	მითი ანეთი ლიბს:		შქვილი წითელი.	1	30
ხაშური	1 29	11 57	3 92	2 18	როსტოვს, მდებსას, მოსკოვს	2	ლონდონში 24 პენსი.	78	ჭერი ფუთი.	1	35
სურამი	1 44		4 42	2 46	პეტერბურგს, მარშავს	2	პარიჟში 259 სანტიმი.	81	ბამბა მრენვისა, ფუთი.	7	50
შვირილა	5 49		5 81	3 23	მსმალეთში, შვეიცარიაში	3	მსკონტი(სარგებლისთვის)	71 1/2	— აშერიკისა, ფუთი.	8	20
რიონი	6 47		6 75	3 75	იტალიაში და საფრანგეთში.	3 50	ბანკის ბილეთი 5%	94	— მაკენტილი ბამბა ფთ.	8	50
სამტრედია	7 41		7 73	4 29	ინგლისში	3 75	მოგებნიანი(პირველისესხი)	208 25	მატყელი თუშური ფთ.	5	—
ახ.-სენაკი	—		8 57	4 76	უმოზა		მოგებნიანი (მეორე სესხი)	208 75	— თარაქამისა ფთ.	3	40
შოთი	9 40		9 75	5 42	ა) თფილისიდან: სამზღვარ გარეთ, ჭუთაისს, რუხეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. შუგდ. ორშ. და სამშ.		ბირაოს ფურცლები:		— აბრეშუმი ნუხური სტ.	3	—
					ბ) ჭუთაისიდან: მ.შურ.—პარასკ. და ორშ. ძანეთს—სამშ. და შაბ.		თფილ. სააზნ. ბანკისა.		— მონი, ფუთი.	5	50
					მ) ჭუთაისიდან: თფილისისა და შოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. მ.შურგეთს—ორშ. და პარასკ.		ხერსონის ბანკის (5 1/2%)	85 25	— მონის სანთელი ფუთი.	7	—
					წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:		მოსკოვის (5%)	85 50	სტეარინის სანთელი, ფ.	12	50
					ლია წიგნის	4	აქციები:		ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	54
					დაბეჭდილის (სამი მისხლი)	8	მდების სავაჭრო ბანკის	177	— ცხვრისა, ლიტრაჟა	—	63
							შოთი-თფილ. რკინ. გზის.		სპირტი, გრადუსი	—	12
							შავი ზღვის ცეცხ. გემების	527	— შაქარი, შროც. ფუთი	8	10
							ძავეკაზის და მერკურის.	225	— ფხენილი ფუთი	—	7 70
							პირე. საზღვევ. საზოგ.	745 50	— შავი გრგვალი, ფუთი	30	—
							პეტერბ. საზღვევ. საზ.	235 50	— ზეთი ქუნჯუთოსა ფუთ.	11	50
							მოსკოვის საზღვევ. საზ.	268	— მქლო 1/2 იმპერიალი.	7	85